

ლია კარიჭაშვილი

Lia Karichashvili

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„სამთა ფერთა ...“ საიდუმლო

(„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ტაეპის განმარტებისთვის)

The Secret of “A Befitting the Three”

(For the Explanation of One Line from the Prologue of
The Knight in the Panther’s Skin)

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.9957>

The fourth line of the tenth stanza of The Knight in the Panther’s Skin’s prologue – “samta perta saqebelta lamis leqsta unda vlena” – has always sparked diverse opinions among commentators. In manuscripts and printed editions, this line can be read in different ways. The most significant variation is the alternation between „vlena“ and „levna“ which modifies the meaning of the line to some degree. However, researchers have primarily focused on decoding “samta perta.” Taken in its literal sense, “three” refers to the poem’s three principal protagonists: Tariel, Avtandil, and Fridon.

In the dictionaries and commentaries accompanying editions of the poem, “three” is interpreted allegorically as the Holy Trinity; the beloved’s beauty, virtue, and merciful heart; the interplay of celestial rays, a gleaming shimmer; the rainbow; three kinds of poetry; the three voices of song, and more. Some scholars interpret “peri” (“color”) as a noun (which, apart from its direct meaning, may denote shape, genus, essence, face, or hero), while others understand it as meaning “fitting,” “appropriate,” or “deserved.” Nana Gonjilashvili expresses the view that “three colors” allegorically represent the loftiest ideals: specifically, Tariel stands for love, Avtandil for faith, and Fridon for hope.

Yet the interpretation of “samta perta” alone does not unequivocally elucidate the entire line’s meaning. For some reason, less attention is paid to the word “lamis”. What does “lamis” (“hlamis”) mean? it is a verb meaning “desires, intends.” Sulkhan-Saba Orbeliani defines “lamis” as “(h)nebavs” (“he/she wishes”). The root of the verb is “lama.” According to I. Abuladze’s definition, it signifies “wanting, intent, desire”. In Akaki Shanidze’s Lexicon of The Knight in the Panther’s Skin, we read: “shelama: shehlamis, moundo-

mebs, daupierebs” (“he/she sets out to do, makes up one’s mind to do”). We encounter this verb in precisely this sense in the tenth stanza of the poem.

It is noteworthy how people of earlier centuries read and understood this line. An echo of it can be heard in one of the stanzas by an unknown continuator of the poem:

“I entreat Thee, O Most High, Thou who discernest all hearts,
Grant me strength and succor, O Lord of rightful dominion,
We desire to praise those heroes, with praises befitting them,
First Tariel, and thereafter his brothers.”

Clearly, this interpolator takes “samta perta” to mean “that which is fitting” for Tariel and his sworn brothers, while “gvinda” (“we wish”) is a transformation of Rustaveli’s verb “lamis” (“he/she desires, intends”).

Now the question arises: according to Rustaveli’s line, who wishes to compose (praise and adorn) “samta perta”? We must search for the verb’s subject in the preceding line – “miajet vin, khortsta datsva kmaris, mitses sulta lkheni.” The subject of the verb “mitses” (“let him/her grant”) is the poet’s adored Queen Tamar (for whom the poet’s heart is enraptured). She desires (“lamis”) that the poet create a laudation worthy of the “three.”

If in this line we read “lamis” as a verb (“he/she desires, intends”), then it makes sense that the line before it should end with a comma rather than a period, and that there should also be a comma after “lamis.” With this punctuation arrangement, taking into account the caesura, the line aligns precisely with the preceding one.

In the analytical text, the last, rhyming word Levna/Leva is the reading preserved in the manuscripts of the poem. It is interpreted as exhaustion, exhaustion (of poems) (Vakhtang VI, Teimuraz Bagrationi). This is also explained in dictionaries. I think the “leva of poems” – to exhaust, to spend – indicates the large volume of the poem. „Leva“ – is found in the prologue itself, related to “poem” (13). In addition, „Leva“ and its derived verb forms are found in many types.

The choice of the rhyming word for the analytical line – Levna/Leva/Vlena – is the prerogative of the editors of the subsequent academic edition of “The Rider in the Panther’s Skin”.

In any case, if we read the word “lamis” in the given text as a verb (He/She has a desire.), then it is logical that there should be a comma (and

not a period) after the previous text, and a comma should be placed after "lamis": "Samta perta sakebelta lamis, lexta onda leva".

Therefore, the analytical text reads: [Queen Tamar] wants to create a suitable eulogy (poems of praise) for the "Trinity" (Holy Trinity), she wants to devote a lot of poems to it, that is, create a great work.

This reading of the line is entirely consistent with and reinforces the main point of the prologue's discourse on "affection": that the poet's primary goal is to convey divine love.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, პროლოგი, ტაეპი, ინტერპრეტაცია, სიმბოლო

Key words: „The Knight in the Panther's Skin“, Prologue, Line, Interpretation, Symbol

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-10 სტროფის მე-4 ტაეპი თავისი არცთუ ისე ნათელი შინაარსის გამო ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას.

*„თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღებენა.
სამთა ფერთა საქებელთა ღამის ლექსთა უნდა ვლენა“. (10)*

*დამოწმებულია ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემიდან
(სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე)*

ტაეპს ხელნაწერებსა და გამოცემებში წაკითხვის განსხვავებული ვარიანტები აქვს:

ხელნაწერთა მონაცემები:

„სამთა ფერთა საქებელთა ღამის ლექსთა უნდა **ლევნა**.“

ფერთა] ფრთა X; UXQ; ლექსთა უნდა – E ლექსმან R'; უნდა] უოს R'; ლევა F. (ვეფხისტყაოსნის ...1960, გვ. 7).

გამოცემათა მონაცემები:

„სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.“

ჰლამის ქ, კარ 1. ვლენა] ლევნა ბ ჩ ქ კარ კაკ აბ1 ჭ (ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ... 1964, გვ. 8)

(ბ – ბროსე, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი, პეტერ. 1841. ჩ – ჩუბინოვის გამოცემა წიგნში „ქართული ქრესტომათია“, ტ. II, სანკტ. პეტ. 1860. ქ – ქართველიშვილის 1888; კარ – დ. კარიჭაშვილის 1903; 1920. კაკ – ს. კაკაბაძის რედაქცია, 1927; აბ1 – ი. აბულაძის რედაქცია 1914; ჭ – ვ. ჭიჭინაძის რედაქცია, 1934)

ვარიანტები გაუკეთდა ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემას (სარედ. კოლეგია: ა. ბარამიძე, ვ. კეკელიძე და ა. შანიძე).

დ. ლევნა.] S t u y z z4 ვლენა, q1 ლევნა! (ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ... 2000, გვ. 7)

(სტროფი q1-ში ვეფხისტყაოსანი, ტექსტი აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ, პარიზი, 1977, დაბეჭდილია როგორც ჩანართი]

S – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, 1, თბილისი, 1966.

t – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ, რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, 1966.

u – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (საიუბილეო გამოცემა), თბილისი, 1966.

y – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევით, წიგნი I, თბილისი, 1970.

z – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, 1974.

z 4 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ,

q1 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი აღდგენილი მიხაკო წერეთლის მიერ, პარიზი, 1977.

ვარიანტები გაუკეთდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემას.

საყურადღებოა, რომ 1956 წლის გამოცემაში („ვეფხისტყაოსანი“ ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები „დაურთო სოლ. ყუბანეიშვილმა. რედ. ალ. ბარამიძე). იკითხება **ლევნა** („სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა. სტრ. 15, გვ. 3), თუმცა 1951 წლის გამოცემის (რედ. ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე) შემდგომ ძირითადად, გარდა გამონაკლისებისა, გვხვდება **„ვლენა“**.

წაკითხვის სხვადასხვა ვარიანტს შორის, როგორც ვხედავთ, ყველაზე არსებითია **ვლენა/ლევნას** მონაცვლეობა, რომელიც ტაეპის შინაარსს რამდენადმე ცვლის, მაგრამ მკვლევართა ინტერესი ძირითადად მიმართულია „სამთა ფერთა“ დეკოდირებაზე. პირდაპირი მნიშვნელობით, „სამში“ იგულისხმება პოემის სამი მთავარი პერსონაჟი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, რომელთაც ზემო სტროფშიც ახსენებს რუსთაველი: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“ (6, 4), ხოლო, ალეგორიული თვალსაზრისით, არსებობს განსხვავებული ვარაუდები, თუ ვის ან რას გულისხმობს „სამი“, როგორ უნდა გავიგოთ „ფერთა“.

პოემის გამოცემათა ლექსიკონებსა და კომენტარებში მოცემულ განმარტებათა მიხედვით, სამი ალეგორიულად მოიაზრება, როგორც წმინდა სამება (ვახტანგ VI, ზ. გამსახურდია); სატრფოს მშვენიერება, კეთილზნეობა და ღმობიერი გული (თეიმურაზ ბაგრატიონი), სამა – მნათობთა სხივების თამაში (ციაგი, ციმციმი, თინათინი ...) (პ. ინგოროყვა); სამი – (სპარს.) – ცისარტყელა (ს. კაკაბაძე), სამგვარი პოეზია, ლექსთა სამი კილო (ო. უორდროპი, ს. კაკაბაძე), ქართული სიმღერის სამი ხმა (შ. ნუცუბიძე, ნ. ნათაძე) და სხვა.

„ფერი“ ზოგიერთ მკვლევარს ესმის, როგორც არსებითი სახელი, რომელიც გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა (თეთრი, შავი ...), გულისხმობს ფორმას, გვარს, არსს, პირს, გმირს, ხოლო ზოგიერთს – როგორც განსაზღვრება – შესაფერისი, შესაბამისი, საკადრისი. ვიკტორ ნოზაძე წერს:

„მსგავსებისა და შესაფერისობის მნიშვნელობით, სიტყვა „ფერი“ ვ.ტ.-ის შესავალშივე იხმარება – სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა (10). სიტყვებს „გიფერე“, „შენი ფერია“, „მათსა ფერსა“, „შეგვფეროდეს“, „მათნი ფერნი“, „მეფერა“, „მისი ფერია“, „სამთა ფერთა“ – აზრად აქვს ფერების, მსგავსების,

სწორობის და იგივეობის, და ამას გარდა – შეკადრების, შებეღვის, კადრების მნიშვნელობა“ (ნოზაძე, 1953, გვ. 21-22).

2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვეფხისტყაოსნის „სამთა ფერთას“ გააზრებისთვის“ ნანა გონჯილაშვილი ვრცლად განიხილავს საკითხის კვლევის ისტორიას, „სამთა ფერთა“ სინტაგმასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თვალსაზრისს და ასკვნის: „ვეფხრობთ, შესაძლებელია თქმა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „სამი ფერი“, ალეგორიულად, უმაღლეს იდეალებს განასახოვნებს, კერძოდ, ტარიელი – სიყვარულს, ავთანდილი – რწმენას, ფრიდონი – იმედს ... სიმბოლურად, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი თავის ქვეყნებს განასახოვნებენ და მათი გზები ინდოეთის, არაბეთისა და მულღაზანზარის გზებად აღიქმება“ (გონჯილაშვილი, 2016, გვ. 23).

მხოლოდ „სამთა ფერთა“ ინტერპრეტაცია მთელი ტაეპის მნიშვნელობას ცალსახად ნათელს და გასაგებს მაინც არ ხდის. რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა სიტყვას „ლამის“.

რას ნიშნავს „ლამის“ (ზოგიერთ გამოცემაში – „ჰლამის“)?

ვახტანგ VI: „ლამის ლექს დალევნა უნდაო“ (ესმის როგორც მიახლოებითი ნაწილაკი). თეიმურაზ ბაგრატიონი: „ლამის რომ ლექსთა თხზულებანი ყოველნი იმათხედ ჯერ არს დალევნად, ესე იგი დასრულებად“ (ესმის როგორც მიახლოებითი ნაწილაკი). „ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის (სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე) ლექსიკონში ვკითხულობთ: „ლამის 10,4 თითქმის“ (გვ. 366). ა. შანიძის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ ცალკეა გატანილი და ერთადერთი მაგალითია „ლამის“ ტაეპიდან „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა. 10, 4.“ (გვ. 168). ცხადია, მიჩნეულია ნაწილაკად. „ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“ ამ სიტყვას წარმოადგენს ზმნისართად: „ლამის (ზმნს– ზმნისართი) 10,4“ (1973, გვ. 67).

ვიქტორ ნოზაძის აზრით: („ოღონდაც (ლამის) საჭიროა ლექსთა ვლენა: ანუ ლექსთა გამოჩინება, თქმაო“) (ნოზაძე, 1953, გვ. 21-22). ნოდარ ნათაძე: („ლამის – დიაღაც რომ (?)“ (ნათაძე, 1992, გვ. 17.) (აქ კითხვის ნიშანი მიუთითებს, რომ განმარტება სავარაუდოა, ავტორი დარწმუნებული არ არის, რომ ზუსტ განმარტებას იძლევა).

რატომ აღარ განმარტავენ ვიქტორ ნოზაძე და ნოდარ ნათაძე „ლამის“ როგორც მიახლოებით ნაწილაკს/ზმნისართს? ვეფხრობთ იმიტომ, რომ გამოცემებში, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, „ლამის“ სინტაქსურ

წყვილში შედის სახელწმინასთან „ვლენა“ და არა „ლევა“. „ლამის.... ლე-ვა“ თუ გასაგებია და განმარტებებიც არსებობს, „ლამის ... ვლენა“ (ე. ი. თითქმის, კინაღამ ლექსთა აღვლენა, გამოჩენა ...) აბსურდული შე-სიტყვებაა, ამიტომ კომენტატორები ეძებენ მიახლოებით ფორმას ამ სიტყვის მნიშვნელობისა და, ზოგადად, ტაეპის შინაარსის გადმოსაცე-მად, მაგრამ „ლამის“ არც ძველ და არც თანამედროვე ქართულში არ ნიშნავს „საჭიროს“ და არც „დიახაც რომ“ გაგება აქვს.

რაც შეეხება „ლამის“ მიახლოებითი ჯგუფის ნაწილაკად ან ზმნი-სართად მოაზრებას, ძველ ქართულ მწერლობაში ამისი დამადასტუ-რებელი მასალა ლექსიკონებისა და ტექსტების მიხედვით არ ჩანს. ილია აბულაძის მიერ შედგენილ ძველი ქართული ენის ლექსიკონსა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მას ვერ შეხვდებით (თუმ-ცა თხზულებაში „სიბრძნე სიცრუისა“ „ლამის“ ნაწილაკის ფუნქციით უკვე ჩანს: „ლამის იგი ყრმა მოკლასო („ოთხი ყრუ“); „აგერ ვირი კაჭ-კაჭმან ლამის შეჭამოს, პატრონი კი ხარობსო“ („ვირი, კაჭკაჭი და მგე-ლი“). ამ ცნებას ძველ ქართულ ტექსტებში გადმოსცემდა სიტყვა „კნინ-ლა“, „კნინ-ლა და“. არ არსებობს „ლამის“ ნაწილაკის ფუნქციით „ვის-რამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“, რეალურად, ის არც „ვეფხისტყა-ოსანში“ დასტურდება. ჩვენთვის საინტერესო ტაეპში „ლამის“ არის **ზმნა**. მისი საწყისია „ლამა“, როგორც ეს არის მითითებული ლექსიკო-ნებში, მნიშვნელობაა – სურს, აპირებს.

სულხან-საბა ორბელიანი: „ლამის“ – (ქნა) (3) ნებავს.“ „ლამი – გნებავს“, „ლამოდა – ენება“ (ორბელიანი, 1991, გვ. 405).

ი. აბულაძე: „ლამა“ – „ნდომა, წადილი, სურვილი“ („ჰლამოდა შესვლასა ოვსეთად“. ქ. ცხ. 215.1.) (აბულაძე, 1973, გვ. 207).

აკაკი შანიძის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი: „შელამა: შეჰლამის, მოუნდომებს, დაუპირებს“ (შანიძე, 1957).

დავით კარიჭაშვილი – (ჰლამის) ლამება - მისწრაფება, დაპირება (1903, გვ. 318).

ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის (სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე) ლექსიკონი: „ლამა: რასა ჰლამი 1380, 3, რას ჰფიქრობ: რას აპირებს; ვლამოდი 897,1 ვფიქრობდი, ველო-დი. ლამოდა 364, 2 სწადა“ (გვ. 366).

აღნიშნული ზმნა გვხვდება პოემის შემდეგ ტაეპებში:

„ლამოდა შეყრისა მოსწრაფებასა“ (364, 2);

„მეფე კოცნასა ლამოდა, აღარა ცრემლნი სდენიან“; (1531,1);

„მეხვეწებოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა“; (302,1);

„ყმა სახელ-დებით უყივის, **ჰლამის** სიტყვითა კრთობასა“ (870,3);
„გიაშო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან **ჰლამი** ცნობასა“ (991,2);
„ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას **ჰლამით**:“ (1107, 1);
დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ **ლამის** სძლობასა“ (1192,3);
ფრიდონს უთხრა: „რასა **ჰლამი**, ჩვენი მოსლვა რას გეწყინა?

(1380,3);

„რასაცა **ჰლამი**, არ მოგცემს მას ღმრთისა სამართალია“ (1485,1);
ვერ გამოენდვნეს ინდონი, თქვეს, თუ: „ღალატსა **ლამიან**“ (1619,3).

ვფიქრობთ, დიდი ალბათობით, ამავე ზმნისგან უნდა იყოს ნაწარმოები „გლმობია“ ტაეპში: „ხმდა განალამცა საქმნელად რაცა თქვენ გულსა **გლმობია**“ (38) (რა სურვილიც თქვენ გულში გქონიათ, ზმნა მესამე სერიაშია), თუმცა არაერთ ლექსიკონსა და ტაეპის განმარტებაში ეს ზმნა დაკავშირებულია ტკივილთან: „ლმობა ტკენა; გლმობია გტკენია; ღმობიერი შემატკივარი“ (შანიძე, 1957, გვ?). „გლმობია“ – გტკენიათ“ (ნათაძე, 1992, გვ. 28). აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოცემის (რედ. დავით კარიჭაშვილი) შენიშვნებში აღნიშნული ტაეპს ახლავს განმარტება – ე. ი. რაკი საჭირო იყო გეთქვათ, **რაც თქვენ გულში გეწადათო**“ (გვ. 264).

„ლამის“ არის საკმაოდ აქტიური ზმნა რუსთაველის წინარე ეპოქის სხვა თხზულებებშიც: „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“.

ენათმეცნიერები ივანე იმნაიშვილი და ვახტანგ იმნაიშვილი ერთობლივ ნაშრომში „ზმნა ძველ ქართულში“ ჩვენთვის საინტერესო ზმნური ფორმის შესახებ წერენ: „ჰლამის შინაარსით არის: სურს, სწადია. აქვს ოდ სავრცობიანი ფორმებიც: ჰლამოდა, ჰლამოდიან. ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა. ლექსიკონში გამოტანილ ფორმად ხმარობენ ლამა-ს, მაგრამ ლამა პირობითი ფორმაა, იგი ტექსტებში არაა დადასტურებული. მაშასადამე, ჰლამის ტიპური უსაწყისო ზმნაა. ის დღეს ნაწილად არის ქცეული და, (ცხადია, მისი არც პირიანი ფორმა და არც. მით უმეტეს. საწყისი არ არსებობს“ (იმნაიშვილი ..., 1996, გვ.730).

თანამედროვე ქართულში „ლამის“ მიახლოებითი ნაწილავია (თითქმის, კინაღამ), თუმცა ობ სავრცობიანი ფორმები (ლამობს, ვლამობ, ლამობ) „სურს“ ან „აპირებს“ მნიშვნელობით დღესაც აქტიურია და როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ქართულშიც დასტურდება (აღნიშნული ზმნა განხილულია დამანა მელიქიშვილის წიგნში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ 2001, გვ. 279). ვაჟა-ფშაველას შე-

მოქმედებაში გვხვდება „მოლამე“ (მიმღეობა)– ვინც ლამობს, მოსურნე, მცდელი, მსურველი.

ამდენად, ტაეპში – „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ – „ლამის“ არის ზმნა აწმყო დროში, პირველი სერიის პირველ მწკრივში.

საინტერესოა, როგორ კითხულობდნენ საანალიზო ტაეპს წინა საუკუნეებში, როგორ ესმოდათ ის რუსთაველის მიმზადებელ-ინტერპოლატორებს? პროლოგში არის ჩანართი სტროფი 7 ა, რომელიც ჩვენი კვლევის კონტექსტში ძალზე საყურადღებოა:

„შენ გევედრები მაღალო, მცნობელო გულისხმათაო,
მომეც ძალა და შეწევნა, უფალო უფლებათაო,
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფერად კადრებათაო,
პირველად ტარიელისა და მერმე მისთა ძმათაო“.

(K 205) (ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, 1960, გვ. 5)

აშკარაა, რომ სტროფის ბოლო ორი სტრიქონი გამოძახილია რუსთაველის ტაეპისა „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ...“. „სამთა ფერთა“ ინტერპოლატორს ესმის როგორც ტარიელისა და მისი ძმანაფიცების **შესაფერისი, საკადრისი**, ხოლო **„გვინდა“** არის გარდათქმა ზმნისა **„ლამის“** (სურს, ნებავს).

საანალიზო ტაეპში ბოლო, სარიტმო სიტყვად **ვლენა** – გვიანდელ გამოცემაში წარმოდგენილი ფორმა, მკვიდრდება დაახლოებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ის განიმარტება, როგორც „ლექსთა ვლენა: ანუ ლექსთა **გამოჩინება, თქმაო**“ (ნოზამე, 1953, გვ. 21), „ლექსთა უნდა ვლენა - **ლექსთა მიწოდება, სიტყვების მიცემა უნდა**“ (ნათამე, 1992, გვ. 17). აღსანიშნავია, რომ „ვლ“ ძირისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები პოემაში მრავალია, თუმცა ამ კონკრეტული ფორმით „ვლენა“ (სახელ-ზმნა) ან მისი ზმნისწინიანი ფორმა მსგავს კონტექსტში (ლექსთან დაკავშირებით) სხვა ტაეპში არ დასტურდება.

ლევნა/ლევა პოემის ხელნაწერებში დაცული წაკითხვაა. ის განიმარტება როგორც **გამოლევა, ამოწურვა** (ლექსებისა) (ვახტანგ VI, თეიმურაზ ბაგრატიონი). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც აღნიშნულ სიტყვას ანალოგიური მნიშვნელობა აქვს: „გაღლევა, ნ. აღლევა, გაღლევა, განლევა, ლევნა, მლივი მოლევა.“ (1991, გვ. 410) „ლევნა – მოკლებასავით, გაღლევა, დაღლევა, მოლევა“ (იქვე, გვ. 411). ილია აბულაძის მიერ შედგენილი ძველი ქართული ენის ლექსიკონი: „ლე-

ვა“, ლევნა იხ. აღლევა, გა(ნ)ლევა(–ული), განმლეველი, განულეველი, დალევა(–დი), დაულევნელად, მოლევა“ (1973, გვ. 208).

სინტაგმა „ლექსმან ლევა“ პროლოგშივე გვხვდება: „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“ (13), გარდა ამისა, „ლევა“ და მისგან წარმოებული ზმნური ფორმები გვხვდება ტაეპებში:

მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა **ლევისა**“ (98),

„ქალმა უბრძანა: „ზარი **მლევს** მე ამისისა თხრობისა“ (125)

„მზესა მთვარე შეეყაროს, **დაილევის**, და-ცა-ქნების“ (126),

„ჩემსა რა ვჰკადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა **მლეველად**“ (186),

„მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად **ჰლევ** რად? (272),

„მო, მთვარეო, შემიბრალე, **ვილევ**ი და შენებრ ვმჭლდები“ (963),

„მზე გამავსებს, მზევე **გამლევს**“ (963);

„მულაზანზარს მიეახლა, ადრე **დალევს** გზასა გრძელსა“ (977),

„ანუ ეგრე რამ **დაგლია**, ანუ პირველ რამ გაგავსო?“ (599),

ვახტანგ მეფის სიტყვები: „**ლექს დალევნა**“, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება: „ლექსთა თხზულებანი ყოველნი იმათხედ ჯერ არს **დალევნად**, ესე იგი დასრულებად...“ მიანიშნებს, რომ იმ „სამის“ ქებას უნდა მისძღვნოდა უამრავი ლექსი, დალეულიყო, ამოწურულიყო ლექსთა მარაგი, „სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი“ (როგორც განმარტავს „ლექსს“ სულხან-საბა, 1991, გვ. 412). **ვფიქრობ, რომ „ლექსთა ლევას“ ამგვარი გაგება მიანიშნებს მხოლოდ ერთ რამეს – თხზულების დიდ მოცულობას.**

ახლა საკითხავია, ვის სურს „სამთა ფერთა საქებელთა“ (სამის შესაფერისი საქებელი თხზულების) თქმა, „ლექსთა ლევა“ ამისთვის?

ეს ტაეპი ეხება მასვე, ვისაც გულისხმობს წინა ტაეპები:

თვალოთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;

აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!

მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა, (10)

ეს პოეტის სათაყვანებელი თამარ მეფეა („ვის მორჩილობს ჯარი სპათა“), რომელზეც პოეტის გული გამიჯნურებულა. მას სურვილი აქვს („ლამის“) პოეტმა „სამთა“ შესაფერი/საკადრისი საქებელი (თხზულება) შექმნას.

სხვათა შორის, ეს აზრი, რომ თხზულების შექმნა მეფის სურვილია, ეხმიანება და ლოგიკურად ამყარებს პროლოგის სხვა ტაეპს: „**მიბრძანეს** მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5). ვახტანგ მეფე ამ სტროფის კომენტარში შენიშნავს: „ამას რომ უბნობს: თამარ ტარიელისა და ავთანდილის ქება მიბძანა **იმათი სახელდობრ არ უბრძანებია: ქართულად ლექსის თქმა უბძანა**, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა“ (სჟ-სჟა)“. რუსთაველმა თვითონ მოიფიქრა სიუჟეტი და გალექსაო. პოეტი თავისუფალი იყო არჩევანში. როგორც ვახტანგ მეფე შენიშნავს, მას ერთადერთი მითითება მისცეს – შეექმნა ქართულად ლექსები ... რატომ? რა მიზნით, რა იდეით უნდა შექმნილიყო თხზულება? რა სურვილი ამოძრავებდა თამარ მეფეს? რა თქმა უნდა, ისეთი ღრმადმორწმუნე ქრისტიანისგან, როგორიც თამარ მეფე ბრძანდებოდა, თხზულების დაკვეთის ერთადერთი მოტივი და იდეა შეიძლება და ყოფილიყო „სადიდებლად წმინდა სამებისა“! სწორედ ამაზეა საუბარი ტაეპში „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ...“ [თამარ მეფეს] სამის შესაფერისი, საკადრისი საქებელი (ლექსები, თხზულება) სურს. **ტაეპის მეორე ნაწილი** – „ლექსთა უნდა ლევნა/ლევა“ – **ამავე აზრს ამყარებს და განავრცობს: „საქებელთა“** დაკონკრეტებულია სიტყვით „ლექსთა“, „ლამის“ იგივეა რაც „უნდა“, „ლექსთა ლევნა/ლევა“ კი, როგორც აღვნიშნეთ, მიაჩნებოდა თხზულების დიდ მოცულობაზე.

საანალიზო ტაეპის სარიტმო სიტყვის – ლევნა/ ლევა/ ვლენა – არჩევანი „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი აკადემიური გამოცემის რედაქციის პრეროგატივაა, რას მიაჩნებოდა უპირატესობას, ხელნაწერთა მოცემულობას თუ რითმის ევფონიას. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მოცემულ ტაეპში სიტყვას „ლამის“ წავიკითხავთ როგორც ზმნას (სურს, ლამობს), მაშინ ლოგიკურია, რომ წინა ტაეპის შემდეგ იყოს მძიმე (და არა წერტილი), „ლამის“ შემდეგ კი უნდა დაისვას მძიმე: „**სამთა ფერთა საქებელთა ლამის, ლექსთა უნდა ...**“. ამგვარი პუნქტუაციური წყობით, ცეზურის გათვალისწინებით, ზუსტი თანხვედრა ხდება წინა ტაეპთან:

„**მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, ...**
სამთა ფერთა საქებელთა ლამის, ...“.

მაშასადამე, საანალიზო ტაეპში იკითხება: პოეტის სათაყვანებელ ადამიანს (თამარ მეფეს) „სამთა“ (წმინდა სამების) შესაფერისი საქებლის (საქებარ ლექსთა) შექმნა სურს, უნდა უამრავი ლექსი დაიხარჯოს (დაილიოს) ამისთვის, ანუ დიდი თხზულება შეიქმნას.

ტაეპის ამგვარი წაკითხვა სავსებით ეთანადება და ამყარებს პროლოგისეული „მიჯნურობის“ დისკურსის მთავარ სათქმელს - საღვთო სიყვარულის გადმოცემას („ვთქვა მიჯნურობა პირველი“). პოემა იწყება „დაბადების“ ალუზიით („რომელმან შექმნა სამყარო...“) და სრულდება ესქატოლოგიურ ჟამზე მინიშნებით („თხა და მგელი ერთა სძოვდეს“), უმთავრესი იდეა კი, რომელიც პოემის სიუჟეტს წარმართავს („ბოროტსა სძლია კეთილმან...“), სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებაა სადიდებლად ღვთისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ბაგრატიონი თეიმურაზ. (1960). განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
- გამსახურდია ზ. (1984). ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, თბილისი: „მეცნიერება“.
- გამსახურდია ზ. (1991) ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი: „მეცნიერება“.
- გონჯილაშვილი, ნ. (2016). „ვეფხისტყაოსნის“ „სამთა ფერთას“ გააზრებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, XXVII, 9-24.
- ვახტანგ VI. (1712). თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა თქმული ბატონიშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი.
- ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვ. 1-ლი, (1960). გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
- ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები. (1964). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ვეფხისტყაოსნის სიმფონია, (1973). ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ვეფხისტყაოსნის" ძირითად გამოცემათა ვარიანტები [1966-1996]. ვარიანტები (2000). საქ. მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, გამოსაცემად მოამზადა თამარ ხვედელიანმა. თბილისი.
- იმნაიშვილი, ი, იმნაიშვილი, ვ, (1996). ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. 2, მაინის ფრანკფურტი.

- ნოზაძე, ვ. (1953). განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა, ვეფხისტყაოსანის ფერთა-
მეტყველება, ბუენოს აირესი.
- ორბელიანი, ს.ს. (1991). ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი: „მერანი“.
- ორბელიანი, ს.ს. (1993). ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი: „მერანი“.
- შანიძე, ა. (1956). ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი: სტალინის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შოთა რუსთაველი, (1903). „ვეფხისტყაოსანი“ რედ. დ. კარიჭაშვილი, ქართ-
ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამო-
ცემა, ტფილისი.
- შოთა რუსთაველი, (1951). „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ა. ბარა-
მიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწი-
ფო გამომცემლობა.
- შოთა რუსთაველი, (1957). ვეფხისტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარა-
მიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, „სახელგამი“.
- შოთა რუსთაველი, (1992). „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ნათაძის კომენტარებით,
თბილისი: „განათლება“.

References:

- Abuladze, I. (1973). Dzveli kartuli enis leksik'oni. [The Dictionary of Old Georgian Language]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Bagrat'ioni Teimuraz. (1960). Ganmart'eba p'oema vepkhist'q'aosnisa. [Explanation of the Poem “The Rider in the Leopard Skin”]. Tbilisi: sakartvelos sss mets-
nierebata ak'ademii.
- Gamsakhurdia, Z. (1984). Vepkhist'q'aosani inglisur enaze. [The Rider in the Leo-
pard Skin in English]. Tbilisi: „metsniereba“.
- Gamsakhurdia, Z. (1991). Vepkhist'q'aosnis sakhismet'q'veleba. [The Facets of the
Rider in the Leopard Skin]. Tbilisi: „metsniereba“.
- Gonjilashvili, N. (2016). „Vepkhist'q'aosnis“ „samta pertas“ gaazrebitsatvis. [For the
Interpretation of “Samta Perta” in “Vepkhistaosani”]. Lit'erat'uruli dzieba-
ni, XXVII, 9-24.
- Imnaishvili, I., Imnaishvili, V. (1996). Zmna dzvel kartulshi, nats'. [The Verrb in
Old Georgian Language]. 2. Mainis prank'purt'i.
- Nozadze, V. (1953). Gank'itkhvani vepkhist'q'aosanisa, vepkhist'q'aosanis perta-
met'q'veleba. [Judgments of the Rider in the Leopard Skin, The Color-
Speech of the Rider in the Leopard Skin]. Buenos airesi.
- Orbeliani, S.S. (1991). Leksik'oni kartuli, [Georgian Dictionary]. T'. I. Tbilisi: „merani“.
- Orbeliani, S.S. (1993). Leksik'oni kartuli. [Georgian Dictionary]. T'. II. Tbilisi: „merani“.

- Shanidze, A. (1956). Vepkhist'q'aosnis simponia. [The Rider in the Tiger's Skin Symphony]. Tbilisi: St'alinis sakhelobis Tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.
- Shota Rustaveli, (1903). „Vepkhist'q'aosani“.[„The Knight in Panther's Skin“]. Red. D. K'arich'ashvili, kartvelta shoris ts'era-k'itkhvis gamavrtselebeli sazogadoebis gamo-tsema. T'pilisi.
- Shota Rustaveli, (1951). „Vepkhist'q'aosani“.[„The Knight in Panther's Skin“]. Saredaktsio k'olegia: Al. Baramidze, K'. K'ek'elidze, A. Shanidze. Tbilisi: sakartvelos ssr sakhelmts'ipo gamomtsemloba.
- Shota Rustaveli, (1957). Vepkhist'q'aosani. [„The Knight in Panther's Skin“]. Saredaktsio k'olegia: Al. baramidze, K'. k'ek'elidze, A. shanidze. Tbilisi: „sakhelgami“.
- Shota Rustaveli, (1992). „Vepkhist'q'aosani“.[„The Knight in Panther's Skin“]. N. Natadzis k'oment'arebit. Tbilisi: „ganatleba“.
- Vakht'ang VI. (1712). Targmani p'irveli ts'ignisa amis vepkhis t'q'aosnisa tkmulibat'onishvilis gamgebelis p'at'ronis vakht'angisa. Ts'ignshi: Shota Rustaveli, Vepkhist'q'aosani. vepkhist'q'aosnis khelnats'erta variant'ebi, nak'v. 1-li, (1960). Gamosatsemad moamzada Sol. Q'ubaneishvilma. [Variants of Vepkhistqaosani Manuscripts]. Tbilisi: sak. ssr metsn. ak'ad. gamomtsemloba.
- Vepkhist'q'aosnis dziritad gamotsemata variant'ebi. (1964). [Variants of the main editions of the Knight in the Tiger's Skin]. Sak. ssr metsni-erebata ak'ademiia, Shota Rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i.Tbilisi: „metsniereba“.
- Vepkhist'q'aosnis simponia, (1973). Pudzeta da sit'q'va-pormata indeksi. [Symphony of the Knight in the Tiger's Skin]. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiia, enatmetsnierebis inst'it'ut'i. Tbilisi: „metsniereba“.
- Vepkhist'q'aosnis" dziritad gamotsemata variant'ebi [1966-1996]. (2000). [The Variants of the Main Editions of Vepkhistqaosani"]. Variant'ebi Sak. metsnierebata ak'ademiia, shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i, vepkhist'q'aosnis ak'ademiuri t'ekst'is damdgeni k'omisia, gamosatsemad moamzada tamar khvedelianma. Tbilisi